

**შემოსავლების სამსახურის განმარტება**  
**შელავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ საქართველოს**  
**წყაროდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრაზე სსკ 134(1<sup>1</sup>)-ე მუხლის შესაბამისად**

სსკ მუხლი 134(1<sup>1</sup>):

1<sup>1</sup>. შელავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვეთვების გარეშე, 15 პროცენტით.

(ამოქმედდა 2012 წლის 26 ივნისიდან. 2012 წლის 12 ივნისის №6446-რს კანონი)

**ანალიზი**

ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმის მიხედვით შელავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ საქართველოს წყაროდან მიღებული პროცენტები, აგრეთვე სხვა თანხები, იბეგრება გადახდის წყაროსთან 15 -პროცენტის განაკვეთით. აღნიშნული განაკვეთი არ ვრცელდება სსკ 134-ე მუხლის შემდეგი ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემოსავლებთან მიმართებაში:

„ა“ – დივიდენდები;

„ბ“ – საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისა და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურების თანხები;

„დ“ – „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი;

„დ<sup>1</sup>“ – ფიზიკური პირისათვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა;

„ვ“ – ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შელავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრა დაევალა საქართველოს მთავრობას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 15 -პროცენტის განაკვეთი (სსკ 134-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი) ძალაშია 2012 წლის 26 ივნისიდან, ასეთ განაცემებთან მიმართებაში აღნიშნული განაკვეთი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ შელავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის შემდეგ. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება გარიგების მხარესთან ხელშეკრულების გაფორმების დრო.

**ფაქტობრივი გარემოება №1:** საქართველოს საწარმოს (შპს "X"-ს) ოფშორში რეგისტრირებული კომპანიისაგან (შპს "Y") აღებული აქვს სესხი (კრედიტი) 10 000 ლარის ოდენობით. 2012 წელს შპს "X"-მა გასცა 2011 წლის დარიცხული საპროცენტო სარგებელი 1800 ლარი.

**შედეგი** მოცემულ შემთხვევაში:

1) თუ საპროცენტო სარგებლის გაცემის მომენტში საქართველოს მთავრობის მიერ არ იქნება გამოცემული ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირთა ჩამონათვალი, შპს "X"-ის მიერ შპს "Y"-ისათვის გადახდილი საპროცენტო სარგებელი გაცემის მომენტში დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით - 90 (1800 X 5%) ლარით ;

2) თუ სარგებლის გაცემის მომენტში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული იქნება ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული პირთა ჩამონათვალი, შპს "X" ვალდებულია შპს "Y"-ისათვის გადახდილი საპროცენტო სარგებელი გაცემის მომენტში დაბეგვროს 15%-იანი განაკვეთით - 270 (1800 X 15%) ლარით.

**ფაქტობრივი გარემოება №2:** ოფშორში რეგისტრირებულმა კომპანია (შპს "Y") საქართველოს საწარმოს (შპს "X"-ს) გაუწია მომსახურება – დაუმზადა საქართველოში ასაშენებელი საგამოფენო კომპლექსის პროექტი, რომლის ღირებულება 50 000 ლარია. მომსახურების საკომპენსაციო თანხის ნაწილი – 20 000 ლარი ანაზღაურებულ იქნა 2012 წელს, ხოლო დარჩენილი ნაწილი (30 000 ლარი) ანაზღაურებულ იქნა 2013 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირთა ჩამონათვალი განსაზღვრულ იქნა 2013 წლიდან.

**შედეგი** მოცემულ შემთხვევაში:

შპს "X"-ის მიერ 2012 წელს შპს "Y"-ისათვის გადახდილი მომსახურების საკომპენსაციო თანხის ნაწილი (20 000 ლარი) დაიბეგრება სსკ 134(1ე)-ე მუხლით დადგენილი 10-პროცენტის განაკვეთით, ხოლო 2013 წელს ანაზღაურებულ 30 000 ლარი დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით .

**ანალიზი**



სსკ 309-ე მუხლის 58-ე ნაწილის მიხედვით ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტი საწარმოსათვის (რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) 2012 წლის ბოლომდე აუნაზღაურებელი პროცენტები, რომლებიც ხარჯის სახით გამოქვითულია 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდებში, საგადასახადო მიზნებისათვის ითვლება 2012 წლის ბოლოს ანაზღაურებულად და პირს ეკისრება საგადასახადო აგენტის ვალდებულება, ხოლო შემდგომ პერიოდში ფაქტობრივად ანაზღაურების შემთხვევაში შესაბამისი შემოსავალი გადახდის წყაროსთან აღარ დაიბეგრება.

აღნიშნული ნორმა ვრცელდება ყველა გადამხდელზე მათ შორის, ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებზეც, თუმცა გასათვალისწინებელია სსკ 131(5)-ე მუხლის ნორმა, რომლის თანახმად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. ამასთანავე, აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი.

იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მიხედვით 2012 წლის ბოლოს ანაზღაურებულად განხილული (და დაბეგრული) პროცენტები ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისათვის ფაქტობრივად ანაზღაურებულ იქნება საქართველოს მთავრობის მიერ ასეთი ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის (15%-იანი განაკვეთის ამოქმედების) შემდეგ, აღნიშნული განაცემების მიხედვით გადახდილი გადასახადი გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

**ფაქტობრივი გარემოება №3:** შპს "X"-ს ოფშორში რეგისტრირებული საწარმოსაგან (შპს "Y") აღებული აქვს სესხი (კრედიტი) 10 000 ლარის ოდენობით. 2011 წლის 1 იანვრამდე შპს "Y"-ისათვის გადასახდელი დარიცხული საპროცენტო სარგებელი შეადგენს 1800 ლარს. შპს "X"-ის მიერ აღნიშნული საპროცენტო ხარჯი (1800 ლარი) არ არის ანაზღაურებული 2012 წელშიც.

**შედეგი** მოცემულ შემთხვევაში:

1) იმ შემთხვევაში, თუ 2012 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობის მიერ არ იქნა განსაზღვრული ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირთა ჩამონათვალი, შპს "X"-ის მიერ შპს "Y"-ისათვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი 2012 წლის ბოლოს დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით – 90 (1800 X 5%) ლარით. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, თუ შემდგომში საპროცენტო სარგებელი (1800 ლარი) ფაქტობრივად ანაზღაურებულ იქნა 15%-იანი განაკვეთის მოქმედების პერიოდში, ამ განაცემის მიხედვით გადახდილი გადასახადი – 90 ლარი გადაანგარიშებას არ ექვემდებარება;

2) თუ 2012 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობის მიერ მოხდება ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული პირების ჩამონათვალის განსაზღვრა, შპს "X" ვალდებულია შპს "Y"-ისათვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი 2012 წლის ბოლოს დაბეგროს 15%-იანი განაკვეთით – 270 (1800 X 15%) ლარით.

### ანალიზი

სსკ 142(4)-ე მუხლის მიხედვით 2011 წლის 1 იანვრიდან ხარჯების გაწვევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

აღნიშნული ნორმა არ ეხება ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც საპროცენტო ხარჯს გამოქვითავს დარიცხვის მეთოდით. მიუხედავად გამოქვითვებისათვის დადგენილი წესისა, 2011 წლიდან დარიცხული პროცენტები დაიბეგრება იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს მათი ანაზღაურების მომენტში, თუმცა ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია სსკ-ის 131(5)-ე მუხლის ნორმა, რომლის თანახმად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, ამასთანავე, აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი.

**ფაქტობრივი გარემოება №4:** ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს – საბანკო დაწესებულებას ოფშორში რეგისტრირებული საწარმოსაგან (არარეზიდენტისაგან) 2010 წელს აღებული აქვს სესხი (კრედიტი). 2012 წლის 1 იანვრამდე გადასახდელი დარიცხული საპროცენტო სარგებელი შეადგენს 2800 ლარს. მათ შორის, 2010 წელს 1200 ლარს. ბანკის მიერ გადაუხდელი პროცენტი გამოქვითულია ერთობლივი შემოსავლიდან. არარეზიდენტისათვის საპროცენტო სარგებელი (2800 ლარი) ანაზღაურდა 2013 წლის თებერვალში.

**შედეგი** მოცემულ შემთხვევაში:

ბანკს არ ექნება ვალდებულება დაბეგროს არც 1200 ლარი (2011 წლის 1 იანვრამდე დარიცხული პროცენტი) და არც 1600 ლარი (2011-2012 წლების პროცენტი).

